ყაზტრანსგაზ თბილისი
KazTransGas TBILISI

ელო. თბილისი, 0160; მიცკევიჩის ქ. №18ა;ტელ/ფაქსი: (+995 32) 37 64 93; ელ.ფოსტა: public@ktg-tbilisi.ge ვებ გვერდი: www.ktg.tbilisi.ge
18a Mitskevich Street, 0160, Tbilisi, Georgia; Tel/Fax: (+995 32) 37 64 93; E-mail: public@ktg-tbilisi.ge Website: www.ktg.tbilisi.ge

04-04-04-01/1971 „02“ 07 2019 წ

შპს „ტიფლის ბიზნეს ცენტრის“ დირექტორს
ბატონ აზამატ სმაგულოვს

ბატონო აზამატ,

თქვენი მიმდინარე წლის 19 ივნისის №01-01-49115-19 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისი, ბ. კვერნაძის N10-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.10.13.033.100) დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებს გაცნობებთ, რომ ჩვენ თანახმა ვართ განახორციელოთ დაგეგმილი მშენებლობა, თუ გაზსადენთან მიმართებაში დაცული იქნება ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული პირობები, კერძოდ: მშენებლობის შედეგად არ უნდა შეიზღუდოს მილსადენის გეგმიური დათვალიერების პროცესი და საჭიროების შემთხვევაში მისი ტექნიკური მომსახურების შესაძლებლობა, ხოლო სამუშაოების წარმოებისას არ უნდა მოხდეს გაზსადენის დაზიანება.

გაზსადენის გადალაგების საჭიროების შემთხვევაში აუცილებელია განხორციელდეს წინასწარი კვლევა და შემუშავდეს საინჟინრო-ტექნიკური პროექტი, რომლის მიხედვითაც დადგინდება რამდენად შესაძლებელია ზემოთხსენებული მილსადენის მარშრუტის ცვლილება.

იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკურად შესაძლებელი იქნება მილსადენის გადაადგილება, დაინტერესებული მხარის მიერ დაკვეთის, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან შესაბამისი ნებართვების მოპოვების და სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო თანხების სრულად ანაზღაურების შემთხვევაში შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ მზად არის განახორციელოს გაზსადენის გადატანის სამუშაოები.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში